ო ქ მ ი № 2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მეორე სხდომისა

10 დეკემბერი, 2025 წელი

ფრაქციის სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე, იოსებ კუჭავა.

ფრაქციის სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: შოთა ჯიშკარიანი და თამთა ბაკურაძე.

სხდომა გახსნა ფრაქციის თავმჯდომარემ, იოსებ კუჭავამ და წარმოადგინა ფრაქციის მეორე სხდომის შემდეგი **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი კვოტების შესაბამისად, ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** წევრების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

იოსებ კუჭავა
ფრაქციის თავმჯდომარე

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ფრაქციის მეორე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგით განსახილველი საკითხის – **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი კვოტების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ წევრების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფრაქციის თავმჯდომარემ, იოსებ კუჭავამ ინფორმაცია გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი კვოტების შესაბამისად, საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** წარსადგენი წევრების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა კომისიაში** წევრად წარდგენილ იქნეს საკრებულოს წევრი, **შოთა ჯიშკარიანი.**

მუხლი 2. ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში** წევრად წარდგენილ იქნეს საკრებულოს წევრი, **იოსებ კუჭავა.**

მუხლი 3. ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში** წევრად წარდგენილ იქნეს საკრებულოს წევრი, **იოსებ კუჭავა.**

მუხლი 4. ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში** წევრებად წარდგენილ იქნენ საკრებულოს წევრები: შოთა ჯიშკარიანი და თამთა ბაკურაძე.

მუხლი 5. ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში** წევრად წარდგენილ იქნეს საკრებულოს წევრი, თამთა ბაკურაძე.

მუხლი 6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი კვოტების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** წევრების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილება ეცნობოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.

ამით, ფრაქციის მეორე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** თავმჯდომარე იოსებ კუჭავა